



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 185

„24“ სექტემბერი 2014 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 58-ე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს 50 მოსამართლით.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიასა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

- ა) სამოქალაქო საქმეთა პალატა - 17 მოსამართლის შემადგენლობით;
- ბ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 14 მოსამართლის შემადგენლობით;
- გ) ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 13 მოსამართლის შემადგენლობით;
- დ) საგამომიებო კოლეგია - 6 მოსამართლის შემადგენლობით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი